

ენი ბლოკონი

# ცნობილი ხუთეული

ხუთეული კლდოვან  
სანაპიროზე

ინგლისურიდან თარგმნა  
ნათია ჯინჯოლავაძე



სულაკაურის  
გამომცემლობა

# შინაახსნი

თავი პირველი ახდადეგები იწყება .....	5
თავი მეორე გემანონის ფეხმა .....	15
თავი მესამე პიხველი სალამო .....	26
თავი მეოთხე ზღვისპირა ყუხეში .....	36
თავი მესამე იანი და პაპამისი .....	46
თავი მეექვსე უჩვეულო ნაამბობი .....	57
თავი მეშვიდე ღამის გასეინება .....	68
თავი მერვე აი, „ბახნებიც“! .....	78
თავი მეცხე ცეცხლი კოშკში .....	88
თავი მათე ნახომდგენის სამზადისში .....	98
თავი მეთერთმეტე „ბახნები“ და „კლოპეხი“ .....	108
თავი მეთორმეტე მოგზაურობა კოშკისკენ .....	118
თავი მესამეტე „მძახცველებს“ კოშკში .....	128
თავი მეთოთხმეტე საიდუმლო ბილიკი .....	138
თავი მათხუთმეტე ქვაბულში გამოკეგილები .....	147
თავი მეთექვსმეტე „მძახცველებს“ ბილიკი .....	157
თავი მერვედმეტე შუალამეს კახგად გადასცდა! .....	167
თავი მეთხრამეტე დიკს იდეა დაებადა! .....	177
თავი მეცხხამეტე მეგნორად, „კლოპეხის“ შესახებ .....	185

# თავი პიხველი

## ახდადეგები იწყება

– დაიჩუტა! გახვრეტილა! – დიკს გუნება წაუხდა, – საბურავი დაეშვა... თან, რა უდროო დროს!

ჯულიენმა დიკის ველოსიპედის უკანა საბურავი შეათვალიერა და მაჯის საათს დახედა:

– დაბერვას მოასწრებ და იმედია, მეორედ აღარ დაეშვება. მატარებლის გასვლამდე შვიდი წუთი დარჩა.

დიკი ველოსიპედიდან ჩამოხტა და ტუმბო მოიმარჯვა. დანარჩენებიც ჩამოქვეითდნენ და გარს შემოეხვივნენ. აინტერესებდათ, საბურავი ისევ დაიჩუტებოდა თუ არა.

ბავშვები კირინის სადგურისკენ მიიჩქაროდნენ, სადაც მატარებელში უნდა ჩამსხდარიყვნენ. ბარგი წინდანინ ჩააბარეს. ამიტომაც იფიქრეს, რომ სადგურზე მისასვლელად და ველოსიპედების ჩასაბარებლადაც დრო თავსაყრელად ექნებოდათ; მატარებელსაც თავისუფლად მიუსწრებდნენ.

– ვერ დავაგვიანებთ! – ჩვეულებისამებრ მოიღუშა ჯორჯი. ის ხომ ძალიან ღიზიანდებოდა, როცა რაღაც რიგზე ვერ იყო.

– დავაგვიანოთ, მერე რა? მაგაზე ადვილი რა არის! – ჯული-

ენს ჯორჯის მოღუშული სახის დანახვაზე გაელიმა, – შენ რას იტყვი, ტიმ?

ტიმმა ისე მონდომებით დაიყეფა, თითქოს ჯულიენს გულწრფელად დაეთანხმაო. მერე ჯორჯს ხელი აულოკა და საპასუხოდ ძაღლს გოგონაც მოეფერა. ჯორჯი დარწმუნდა, რომ საბურავი კარგად იბერებოდა და მოღუშული სახე გაუნათდა. ახლა კი ყველაფერს მოასწრებდნენ!

დიკმა საბურავი მოსინჯა და შვებით ამოისუნთქა. მერე ტუმბო თავის ადგილზე დააბრუნა.

– ფუ! სულ გავიხვითქე, – დიკი ველოსიპედზე შემოჯდა, – იმედია, სადგურამდე გაძლებს. შემეშინდა, ვაითუ უჩემოდ გამგზავრება მოუწიოთ-მეთქი.

– არავითარ შემთხვევაში! – წამოიძახა ენიმ, – მომდევნო მატარებელს გავყვებოდით. ტიმ, წამოდი!

ოთხი ბიძაშვილი და ძაღლი, სახელად ტიმი, სადგურისკენ გაეშურნენ.

ის-ის იყო, სადგურის ეზოში შევიდნენ, რომ მატარებლის საყვირის ხმაც გაისმა. ბავშვებს ლოყებლაჟღაჟა, ფართოსახიანი მტვირთავი ღიმილით შეეგება:

– თქვენი ბარგი-ბარხანა უკვე დავაბინავე. კაცმა რომ თქვას, დიდი ტვირთი არც გაქვთ – მხოლოდ ერთი პატარა ჩემოდანი!

– არდადეგებზე ბევრი ტანსაცმელი არ გვჭირდება, – აუხსნა ჯულიენმა, – ველოსიპედების სწრაფად ჩაბარებაში ვერ დაგვეხმარებით? მგონი, მატარებელი, საცაა, დაიძვრება.

მტვირთავი ველოსიპედებზე სამგზავრო ტალღების დამაგრებას შეუდგა. თანაც, სულ არ ჩქარობდა. იცოდა, სანამ თავის სამუშაოს არ მორჩებოდა, მატარებელს სადგურიდან გასვლის ნებას არ მისცემდა. ბოლოს და ბოლოს, საქმეს თავი მოაბა.

– მგონი, კორნუოლში მიდიხართ, არა? – იკითხა მტვირთავმა, – და ტრემანონშიც. ბანაობისას ფრთხილად უნდა იყოთ. კორნუოლში კლდოვანი სანაპირო და ბობოქარი ზღვაა.

– ოჰ, დანამდვილებით იცით? – შენუხდა ენი, – განა იქაურობა ლამაზი არ არის?

– ლამაზი? აბა, რა გითხრათ, – მხრები აიჩეჩა მტვირთავმა და ხმას აუწია, მოახლოებული მატარებლის გრუხუნის რომ გადაეფარა, – მაგ მხარეში ბიძაჩემის ნავით დავდიოდი ხოლმე სათევზაოდ. ერთი მივარდნილი და უღიმღამო ადგილია. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მანდ არდადეგების გატარება შეიძლებოდა. არც ნავმისადგომია, არც ნაყინის გამყიდველები, არც კონცერტები, არც კინო, არც...

– კეთილი, – გაანწყვეტინა ჯულიენმა, – ნუ ლელავთ, მაგ ყველაფრის გარეშეც გავძლებთ. ცურვას, ნავის ქირაობას, ნაპირთან ახლოს თევზაობასა და ველოსიპედით სეირნობას ვაპირებთ. ასეთი დასვენება მოგწონს!

– ჰამ! – დაადასტურა ტიმმა და კუდი გააქიცინა.

– ჰო, ჰო, რა თქმა უნდა, შენც, – ჯორჯმა ძალღს უზარმაზარ თავზე ხელი გადაუსვა, – წამოდით, ვაგონში ასვლის დროა.

– თქვენს ველოსიპედებს მე მივხედავ, – დააიმედა ბავშვები მტვირთავმა, – კარგ დასვენებას გისურვებთ. ბიძაჩემს თუ სადმე გადააწყდებით, უთხარით, რომ მიცნობთ. ჩემი სეხნიაა – ჯონ პოლპენი.

„ტრე, პოლ, პენ,

და ამოიცნობ კორნუოლელს შენ“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> რიჩარდ კროუს მიერ კორნუოლში ჩაწერილი ლექსი, რომელიც ინგლისში ჯერ კიდევ 1602 წელს გამოქვეყნდა. კორნუოლში მცხოვრებთა ზოგიერთი გვარი და სხვადასხვა ადგილის დასახელება ამ მარცვლებით (ტრე, პოლ, პენ) იწყება. მაგალითად, გვარი ტრელონი და სოფელი პოლზიტი (რედ.).

ჯულიენმა ლექსიდან ციტატა ჩამოარაკრაკა და სხვებთან ერთად ვაგონში ავიდა.

– მაღლობა, ჯონ. თუ მოვახერხეთ, ბიძაშენს აუცილებლად მოვძებნით.

ბავშვები კუთხის სკამებზე დასხდნენ, ტიმი კი კარის მოპირდაპირე მხარეს გაემართა, წინა თათებით ხარისხს დაეყრდნო და ცხვირი სარკმელში გაყო. მთელი გზა ასე დგომას აპირებდა! ძალიან უყვარდა, ნესტოებზე ჰაერის ნაკადი რომ უბერავდა.

– ტიმ, ჩამოდი, – დაუძახა ჯორჯმა.

ძალმა გოგონას ყურადღება არ მიაქცია. თავს ბედნიერად გრძნობდა. არდადეგები დადგა და ყველა, ვინც კი უყვარდა, მასთან ერთად იყო. ისევ სადღაც მიემგზავრებოდნენ. თანაც, შეიძლება, იქ კურდღლებსაც კი გადაეყაროს. ტიმს ჯერჯერობით ერთი ბაჭიაც კი არ დაეჭირა, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა!

– აი, ისევ გზაში ვართ! – ჯულიანი კუთხეში მოხერხებულად მოკალათდა, – ღმერთო, როგორ მიყვარს არდადეგების დაწყება: სამზადისი, რუკაში კირკიტა, მარშრუტების დაგეგმვა, ბოლოს კი – გამგზავრება!

– თანაც, ასეთ მშვენიერ დღეს, – კვერი დაუკრა ენიმ, – ჯორჯ, დედაშენმა ტრემანონის ფერმის შესახებ როგორ შეიტყო?

– მამამ გვიამბო, – უპასუხა ჯორჯმა, – ხომ იცი, მამაჩემს უამრავი მეცნიერი მეგობარი ჰყავს, რომლებსაც უკაცრიელ ადგილებში დასვენება და ათასნაირ იდეებზე მუშაობა სოფლად, სიმშვიდესა და სიჩუმეში უყვართ. მამას თურმე ერთი გაძვალტყავებული მეგობარი ჰყოლია, რომელიც ტრემანონის ფერმიდან საშობაო ბატივით ჩასუქებული დაბრუნებულია.

დედამ კი მითხრა, თქვენი არდადეგების გასატარებლად რომ გამოდგება, მგონი, ზუსტად ისეთი ადგილიაო!

– არც შემცდარა! – წამოიძახა დიკმა, – სკოლაში სამთვიანი მონობის შემდეგ თავს მეც გაძვალტყავებულივით ვგრძნობ. ცოტათი გასუქება არ მანყენს!

დიკის ნათქვამზე ყველას გაეცინა.

– შეიძლება, თავს გაძვალტყავებულივით გრძნობ, მაგრამ გარეგნულად არ გეტყობა, – დაამშვიდა ჯულიენმა, – ვარჯიში კი მართლა არ განყენდა ქონის მოსაშორებლად... ჩვენც მოგვიხდება. ფეხით ვივლით, ველოსიპედებით ვისეირნებთ, ვიცურავებთ და კლდეებზე ვიცოცხვებით...

– და შევჭამთ, – დაამატა ჯორჯმა, – ტიმ, ფერმის ძაღლებთან კარგად უნდა მოიქცე, თორემ შავი დღე დაგადგება.

– ჰო, ესეც დაიმახსოვრე: სათამაშოდ რომ გახვალ, სანამ კურდღლებს დაედევნები, იქაური ძაღლებისგან ნებართვა უნდა აიღო, – დიკმა ძალღიმიანი სერიოზული გამომეტყველებით დაარია.

ტიმმა თავისი ბუთქუნა კუდი დიკს მუხლებზე გადაარტყა, პირი დაალო და ენა გადმოაგდო. ისეთი ალტაცებული სახე ჰქონდა, თითქოს იცინისო.

– ყოჩაღ! გაიცინე ჩემს ხუმრობებზე, – მოუწონა საქციელი დიკმა, – მიხარია, რომ მოდიხარ, ტიმ. უშენოდ საშინლად მოვიწყენდი.

– სულ ჩვენთან ერთადაა, ყოველ არდადეგებზე, – ამაყად განაცხადა ჯორჯმა, – რაც კი თავს გადაგვხდენია, ყველაფერში მონაწილეობს.

– ჩვენი კეთილი ტიმი, – თქვა ჯულიენმა, – ვინ იცის? შეიძლება, ახალი თავგადასავლის მონაწილაც გახდეს.

– ამჯერად თავგადასავლების გარეშე ვაპირებ არდადე-

გების გატარებას, – მტკიცედ წამოიძახა ენიმ, – უბრალოდ, დასვენება მინდა და მეტი არაფერი. მოდი, კარგად გავერთოთ და რამე უცნაურ, საიდუმლოებით მოცულ ან თავგადასავლისმაგვარ ამბავში ნუ გავეხვევით.

– მართალი ხარ, – დაეთანხმა ჯულიენი, – ახლა თავგადასავლები არ იქნება. არავითარ შემთხვევაში. რამეს თუ გადავანყდით, ვითომც არაფერი, ფა-ფუ! გვერდით ჩაუვუვლით და ყურადღებას არ მივაქცევთ. შევთანხმდით?

– კარგი, – თქვა გახარებულმა ენიმ.

– ეგრე იყოს, – ჯორჯს ხმაში ყოყმანი დაეტყო.

– მშვენიერია, – თავი დააქნია დიკმაც.

– ვაჰ, თურმე რა მორჩილი ბავშვები ყოფილხართ, – გაოცდა ჯულიენი, – თუ ყველანი ასე ფიქრობთ, მეც შემოგიერთდებით. ესე იგი, „ღმერთმა იცის, რა ამბავშიც“ გინდა გავეხვიოთ, ვიტყვი, არა, არ გვინდა, გმადლობთო, და გზას გავაგრძელებთ. კარგი, შევთანხმდით.

– ისე, დარწმუნებული არ ვარ... – წამოიწყო ჯორჯმა, მაგრამ ველარავინ გაიგო, გოგონა რაში არ იყო დარწმუნებული, იმიტომ რომ ტიმმა სავარძლიდან გადმოსავარდნად სწორედ ეს დრო შეარჩია. ვაგონის იატაკზე წკავწკავით დაეხეთქა, მყისვე წამოხტა, სარკმელთან თავის საგუშაგოს დაუბრუნდა და თავი გარეთ გაყო.

– შიგნით უნდა შემოვართრიოთ და ფანჯარა დავხუროთ, – შეწუხდა ჯორჯი, – შეიძლება, თვალში რამე ჩაუვარდეს.

– არა! ფანჯრების დახურვას და ამ ჩახუთულ ვაგონში სიდრივით<sup>1</sup> ნელ-ნელა დადუღებას არ ვაპირებ! ტიმის თვალების ხათრითაც კი, – მტკიცედ განაცხადა ჯულიენმა, – თუ ვერ იმორჩილებ და შიგნით ვერ შემოგყავს, მაშინ შეეგუოს, რომ

---

<sup>1</sup> სიდრი – ვაშლის ღვინო



თვალში რალაც ჩაუფარდება.

ასე იყო თუ ისე, ეს პრობლემა ძალიან სწრაფად მოგვარდა, რადგან მატარებელმა სრულიად არამინიერი ღრჭიალის ხმა გამოსცა და თავი კუნაპეტ სიბნელეში დურთა. გაოგნებული ტიმი ფანჯრიდან გულგახეთქილი ჩამოხტა და შეეცადა, ჯორჯის მუხლებზე მოკალათებულიყო.

– ბავშვივით ნუ იქცევი, ტიმ! მხოლოდ და მხოლოდ გვირაბია! ჯუ, მომაშორე. ძალიან ცხელა საიმისოდ, რომ ისეთი მძიმე ძალღი ჩავიხუტო, როგორც ტიმია. გეყოფა, ტიმ! ხომ გეუბნები, ეს, უბრალოდ, გვირაბია!

მგზავრობას დასასრული არ უჩანდა. ვაგონში აუტანლად ცხელოდა; მათ კი, არც მეტი, არც ნაკლები, ორჯერ მოუწიათ ერთი მატარებლიდან მეორეში გადასხდომა. ენაგადმოგდებული ტიმი ხმამაღლა ქოშინებდა. ყოველ სადგურზე ჯორჯი მტვირთავებთან მირბოდა და ძაღლისთვის წყალს ითხოვდა.

ბავშვებს საგზაოლიც ჰქონდათ, მაგრამ რატომღაც არ შიოდათ: სულ უფრო და უფრო მეტად იმტვერებოდნენ და სულ უფრო და უფრო მეტად სწყუროდათ. თან წამოღებული ფორთოხლის წვენი ძალიან სწრაფად შემოეღიათ.

– ფუ! – ჯულიენმა გასაგრილებლად სახე ჟურნალით გაინიავა, – ყველაფერს დავთმობდი, წყლის გადავლება რომ შემეძლოს. ტიმ, შენი ცხელი სუნთქვაღა მაკლდა, იქით გაინიე.

– რა დროს ჩავდივართ? – იკითხა ენიმ.

– მატარებლიდან პოლვილი ჰოლტში უნდა ჩავიდე, – აუხსნა ჯულიენმა, – ეს უახლოესი სადგურია ტრემანონის ფერმამდე. მერე გზას ველოსიპედებით გავაგრძელებთ. თუ გაგვიმართლა, ჩაის სმის დროს იქ ვიქნებით.

– ბევრად მეტი წყალი უნდა წამოგველო, – ამოიკვნესა დიკმა, – თავს იმ ადამიანივით ვგრძნობ, რომელიც მზისგან

გადამწვარ უდაბნოში რამდენიმე კვირა იყო დაკარგული.

როგორც იქნა, პოლვილი ჰოლტამდე მიაღწიეს და ყველამ უსაზღვროდ გაიხარა. თუმცა, თავდაპირველად ვერც კი მიხვდნენ, რომ უკვე გაჩერებაზე იყვნენ და რკინიგზის ლიანდაგების გასწვრივ დაგებული ვინრო ხის ბაქანი კი სადგური იყო. ბავშვები ისხდნენ და იცდიდნენ. ის კი არადა, თავიდან ვერც იმ პატარა ბაქანს ხედავდნენ და ვერც იქვე ჩარჭობილ ციციქნა აბრას, წარწერით: „პოლვილი ჰოლტი“.

უცებ პლატფორმაზე სწრაფად მომავალი ადამიანის ფეხის ხმა გაისმა და ვაგონის სარკმელში გამცილებლის ოფლიანი სახე გამოჩნდა.

– გადმოსვლას არ აპირებთ? მთელი დღე მანდ უნდა ისხდეთ?

– ჯანდაბა! პოლვილია? – ჯულიენი წამოხტა, – უკაცრავად, არ ვიცოდით, რომ გაჩერება იყო. ერთ წამში გამოვალთ.

ბავშვებმა ვაგონის კარის მიჯახუნება ძლივს მოასწრეს, რომ მატარებელი დაიძრა. ჰოდა, იდგნენ ასე, პატარა სასაცილო ბაქანზე, სულ მარტონი (თუ მეორე ბოლოში აყუდებულ ოთხ ველოსიპედს არ ჩავთვლით). ეს ერთი ციციქნა გაჩერება ამ უკიდევანო მდებარეობისა და თავმომრგვალებული გორაკების შუაგულში მიტოვებულსა და დაკარგულს ჰგავდა. ახლომახლო ერთი შენობაც კი არ ჩანდა!

ამ დროს ჯორჯის მახვილმა თვალმა არცთუ ისე შორს, დასავლეთით, რაღაც მშვენიერი შენიშნა.

– შეხედე, ზღვა! – გოგონამ ჯულიენს მკლავზე ხელი წაავლო, – აი, იქით, გორაკებს შორის, ჩაღრმავება რომ მოჩანს, ვერ ხედავ? დარწმუნებული ვარ, ზღვაა. სამოთხესავით ლურჯია.

– კორნუოლის სანაპირო ყოველთვის ლაჟვარდისფერია, –

აღფრთოვანება ვერ დამალა დიკმა, – ამას რომ ვხედავ, კარგ ხასიათზე ვდგები. ნამოდით, ველოსიპედებზე დავსხდეთ და ტრემანონის ფერმის გზას გავუყვით. რამე თუ არ დავლიე, მალე ენა პირიდან მეც ტიმივით გადმომივარდება.

ბავშვები ველოსიპედებთან მივიდნენ. დიკმა საბურავი მოსინჯა – ცოტა დაშვებულყო, მაგრამ არა უჭირდა, ადვილად გაბერავდა.

– ტრემანონის ფერმამდე შორია? – იკითხა დიკმა.

ჯულიენმა თავის ჩანანერებში ჩაიხედა:

– „მატარებლიდან პოლვილი ჰოლტში ჩამოვდივართ. მერე ველოსიპედებით ვაგრძელებთ გზას ვინრო ბილიკებზე... ოთხი მილი ტრემანონის ფერმამდე... სოფელ ტრემანონიდან ფერმამდე – დაახლოებით ერთი მილი“, – წაიკითხა ხმამაღლა, – არც ისე ცუდადაა საქმე. შეიძლება, სოფელში ლიმონათს ან ნაყინსაც კი გამოვკრათ ხელი.

– ჰამ, ჰამ! – ნაყინი რას ნიშნავდა, ძალიან კარგად იცოდა ტიმმა.

– საბრალო ტიმი! – გული აუჩუყდა ენის, – ველოსიპედებს უკან რომ აედევნება, კიდეც უფრო დასცხება. აჯობებს, ნელა ვიაროთ.

– ვინმეს თუ ჰგონია, რომ თავქუდმოგლეჯილი გავქანდები, ძალიან ცდება, – დაამშვიდა დიკმა, – შენ როგორც გენდომება, იმ სისწრაფით ვივლი, ენი!

მალაღ ბუჩქებს შორის დამალულ ვინრო, უცნაურ ბილიკს ბავშვები ველოსიპედებით გაუყვნენ, ძალღი კი – თავისი ოთხი ფეხით. ტიმის ხათრით ყველანი ნელა მიდიოდნენ და ისიც ქოშინ-ქოშინით, მხარდამხარ მისდევდათ. ყოჩალი ტიმი! ოღონდ ამ ოთხი ბავშვის გვერდით ყოფილიყო და ბედს არა-სდროს დანებდებოდა.